EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეოთხე სექცია

A.H. და სხვები გერმანიის წინააღმდეგ

(განაცხადი N 7246/20)

სამართლებრივი შეჯამება

არაოფიციალური თარგმანი

მომზადებულია თბილისის საკასაციო სასამართლოს

თავმჯდომარის ბიუროს და ანალიტიკური სამსახურის მიერ.

სტრასბურგი

4 აპრილი, 2023 წელი

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ა.ჰ. და სხვები გერმანიის წინააღმდეგ

(განაცხადი 7246/20)

4 აპრილი, 2023 წელი

მუხლი: 8(1)

პირადი ცხოვრების პატივისცემა

გენდერის შეცვლის შემდეგ, სამართლებრივი მექანიზმის არარსებობა, რომელიც ტრანსგენდერ მშობელს მისცემდა ბავშვის დაბადების მოწმობაში ბიოლოგიური რეალობის შესაბამისი გენდერის მითითების შესაძლებლობას: დარღვევა არ დადგინდა

(მოცემული სამართლებრივი შეჯამება ასევე მოიცავს საქმეს ო.ჰ. და გ.ჰ. გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადები N 53568/18 და 54741/18, 4 აპრილი 2023)

ფაქტობრივი გარემოებები:

ო.ჰ და გ.ჰ-ს საქმეში, პირველი განმცხადებელი დაიბადა, როგორც ქალი. მას შემდეგ, რაც ო.ჰ-მ სქესის ცვლილება სამართლებრივად დააკანონა, მან სპერმის დონაციის გზით გააჩინა ვაჟიშვილი (გ.ჰ, მეორე განმცხადებელი). ო.ჰ ბავშვის დაბადების მოწმობაში მოხსენიებული იყო დედად.

ა.ჰ და სხვების შემთხვევაში კი, ა.ჰ მამაკაცად დაიბადა და მიიღო სახელმწიფოსგან სამართლებრივი აღიარება სქესის ქალად გარდაქმნაზე. მეორე განმცხადებელმა (ა.ჰ-ს შეყვარებული) პირველი განმცხადებლის სპერმის დონაციის გზით გააჩინა ვაჟიშვილი(მესამე განმცხადებელი). ა.ჰ ბავშვის დაბადების მოწმობაში ჩაწერილი იყო, როგორც ბავშვის მამა.

ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, სამოქალაქო რეესტრის ორგანოებმა უარი თქვეს ო.ჰ-ს ჩაწერაზე გ.ჰ-ს მამად (ო.ჰ-ს და გ.ჰ-ს საქმე) და ა.ჰ-ს ჩაწერაზე მესამე განმცხადებლის მეორე დედად (ა.ჰ და სხვების საქმე), იმ მიზეზით, რომ პირი, რომელმაც ბავშვი გააჩინა უნდა ჩაწერილიყო დედად. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რეესტრმა აღნიშნულზე უარი თქვა, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოებმა განმცხადებლების გენდერის ცვლილება კანონიერად აღიარეს ბავშვების ჩასახვამდე. სამოქალაქო რეესტრის უარის გასაჩივრება სასამართლოში წარუმატებელი აღმოჩნდა.

სამართლებრივი შეფასება:

მე-8 მუხლი:

1) შესაბამისობა

ტრანსგენდერი მშობლების საჩივრები დაფუძნებულია მათი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაზე. აღნიშნული უფლება მოიცავს თვითგამორკვევის უფლებასა და გენდერული იდენტობის განსაზღვრის თავისუფლებას, რომლებიც წარმოადგენენ მის ერთ-

ერთ ფუნდამენტურ ელემენტებს. იგი ასევე მოიცავს გენდერული იდენტობის სამართლებრივ აღიარების უფლებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ტრანსგენდერი პირი დაცული უნდა იყოს ამ იდენტობის არანებაყოფლობით გამჟღავნებისაგან. ტრანსგენდერი პირების შვილებთან და პარტნიორებთან დაკავშირებით კი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება მოიცავს მათი პირადი ცხოვრების გარკვეული ასპექტების გამჟღავნებას ან არ გამჟღავნებას.

განმცხადებლების საჩივრები ორივე შემთხვევაში ეყრდნობოდა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას. ისინი ერთად ცხოვრობდნენ, როგორც მშობლები და შვილები, ამასთანავე მათი მშობლობა გერმანიის ხელისუფლებას ეჭქვეშ არ დაუყენებია.

დასკვნა: მე-8 მუხლი შესაბამისია მასში შემავალი „პირადი ცხოვრების“ ნაწილის საფუძველზე

2) არსებითი განხილვა

ა) საქმე ეხებოდა პოზიტიურ ვალდებულებას თუ ჩარევას - მთავარი კითხვა, რომელიც უნდა დაისვას ორივე საქმის განხილვისას, ესაა - არსებობდა თუ არა მარეგულირებელი ჩარჩო და ამასთან დაკავშირებით განმცხადებლებთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილებები მიუთითებდა თუ არა, რომ სახელმწიფომ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულებები მათი პირადი ცხოვრების პატივისცემის უზრუნველსაყოფად. ზოგადი პრინციპები, რომლებიც გამოიყენება სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შესაფასებლად, შეჯამებული იყო გადაწყვეტილებაში *ჰემელაინენი ფინეთის წინააღმდეგ* (Hämäläinen v. Finland), შესაბამის ფაქტორებთან ერთად. გადაწყვეტილებაში განხილული იყო: იმ ინტერესების მნიშვნელობა, რომლებიც სასწორზე იდო განმცხადებლისათვის; ამასთანავე, საუბარი იყო იმაზე, საქმეში წამოიჭრა თუ არა პრობლემა პირადი ცხოვრების „ძირითადი ღირებულებებისა“ თუ „არსებითი ასპექტების“ კუთხით, განმცხადებელზე სოციალურ რეალობასა და კანონს შორის შეუსაბამობის ზემოქმედებასთან ერთად; აგრეთვე, განხილული იყო სავარაუდო პოზიტიური ვალდებულების გავლენა სახელმწიფოზე, მისი ბუნებიდან გამომდინარე - კერძოდ, იყო თუ არა ვალდებულება ვიწრო და ზუსტი თუ ფართო და განუსაზღვრელი.

ბ) სახელმწიფოს შეფასების ზღვარი - ტრანსგენდერი მშობლების საჩივრების მთავარი თემას წარმოადგენდა არა პირადად მათ შესახებ ოფიციალურ დოკუმენტში ჩანაწერი, არამედ ჩანაწერი, რომელიც გაკეთებული იყო სხვა პირების დაბადების მოწმობებში (შვილები). ბავშვების თვითგამორკვევის უფლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა არა მათი გენდერული იდენტობის შესახებ ფაქტის შესაძლო გამჟღავნებით, არამედ მათი ერთ-ერთი მშობლის გენდერული იდენტობის გამჟღავნებით. რაც შეეხება ბავშვების უფლებას, იცოდნენ მათი წარმომავლობა, ამ უფლებას შეეძლო შეეზღუდა ტრანსგენდერი მშობლებისა და მათი პარტნიორების უფლება. შესაბამისად, შეფასების ზღვარი არ იყო შევიწროებული იმ უფლებით, რომელსაც ეყრდნობოდნენ განმცხადებლები.

ევროპულ სახელმწიფოებს შორის არ არსებობდა კონსენსუსი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიეთითებინათ სამოქალაქო რეესტრის ჩანაწერებში ბავშვთან დაკავშირებით, რომ მშობლის სტატუსის მქონე ერთ-ერთი პირი იყო ტრანსგენდერი. ფაქტობრივად, მხოლოდ ხუთმა წევრმა სახელმწიფომ მიიღო დადგენილება თავის რეესტრებში სამართლებრივად აღიარებული

გენდერის შესახებ (a recognised gender), მაშინ როცა სახელმწიფოების უმრავლესობაში დედად რეგისტრირდება პირი, ვინც გააჩინა შვილი; პირს კი, რომლის სპერმითაც მოხდა ჩასახვა, შეუძლია მამობის აღიარება. კონსესუსის ნაკლებობა ასახავს იმ ფაქტს, რომ გენდერის ცვლილება მშობლობის საკითხთან ერთად წამოჭრა სენსიტიური ეთუკური საკითხები, რითაც დასტურდება, რომ სახელმწიფოებს პრინციპულად უნდა მიეცეთ შეფასების ფართო ზღვარი.

გერმანიის ხელისუფლებას მოუწოდეს, შეეჯერებინა რიგი კერძო და საჯარო ინტერესები რამდენიმე კონკურენტულ უფლებასთან. პირველ რიგში, აქ საუბარია ტრანსგენდერი მშობლებისა და მათი პარტნიორების უფლებებზე; შემდგომში, მათი ბავშვების ძირითად უფლებებსა და ინტერესებზე, კერძოდ, მათ უფლებაზე - იცოდნენ თავიანთი წარმომავლობა, აგრეთვე გათვალისწინებული იყოს მათი ინტერესი მშობლებთან სტაბილური სამართლებრივი კავშირისადმი და უფლება მიიღონ ზრუნვა და განათლება ორივე მშობლისგან (O.H და G.H); ბოლოს კი, საუბარია საჯარო ინტერესებზე, რომლებიც მოიცავდა სამართლებრივი სისტემის თანმიმდევრულობას, სამოქალაქო რეგისტრაციის ჩანაწერების სიზუსტესა და სისრულეს, რომელსაც განსაკუთრებული მტკიცებულებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს უკანასკნელი ასპექტი ასევე მოითხოვდა შეფასების ფართო ზღვარს.

მაშასადამე, ყველა ამ გარემოების გათვალისწინებით, გერმანიის ხელისუფლება სარგებლობდა შეფასების ფართო ზღვრით წინამდებარე საქმეში.

გ) განმცხადებლების უფლება, პატივი სცენ მათ პირად ცხოვრებას - განსხვავებით იმ განმცხადებლებისგან, რომლებიც სასამართლოს მიერ განხილულ სხვა საქმეებში ყოფილან წარმოდგენილნი, ტრანსგენდერი მშობლები არ ასაჩივრებდნენ მათ შესახებ ოფიციალურ დოკუმენტებში სამართლებრივად მათი გენდერული ცვლილების არ აღიარებას, არამედ ასაჩივრებდნენ ხელისუფლების უარს, მიუთითონ თავიანთი ამჟამინდელი სქესი და სახელები ოფიციალურ დოკუმენტებში, რომლებიც დაკავშირებულია მათ შვილებთან.

გერმანიის საკანონმდებლო ორგანოს ძველი მიდგომის თანახმად, ტრანსგენდერი მშობლების ადრინდელი სქესი და სახელი მითითებული უნდა ყოფილიყო არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი დაიბადებოდა იქამდე, სანამ მოხდებოდა მშობლების შეცვლილი სქესის სამართლებრივი აღიარება სახელმწიფოს მხრიდან, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც აღნიშნული სამართლებრივი აღიარება თარიღდება ბავშვის ჩასახვამდე ან დაბადებამდე, როგორც ეს წინამდებარე საქმის ორივე შემთხვევაში იყო მოცემული. თუმცა ზემოთ მოცემული მიდგომა გერმანიის ამჟამინდელი კანონის თანახმად ტრანსსექსუალების სახელისა და სქესის შესახებ, აშკარად შეიცვალა. ეს კი განპირობებულია დღეს არსებული სამედიცინო ცოდნით, რომლის მიხედვითაც, არაა გამორიცხული რეპროდუქციული ფუნქციის არმქონე პირების მიერ დაორსულება ან ბავშის გაჩენა სქესის შეცვლის ოპერაციის შემდეგ. აღნიშნული ცვლილების განხორციელება შესაძლებელი გახდა, inter alia, მას შემდეგ, რაც ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 2011 წელს განაცხადა, რომგენდერის ცვლილების აღიარების მსურველი პირის მიმართ ქირურგიული ჩარევის განხორციელების მოთხოვნა და შეუქცევად სტერილობასთან დაკავშირებული წინაპირობა ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის ძირითად კანონს.

წინამდებარე საქმეებში მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დედობა და მამობა, როგორც სამართლებრივი კატეგორიები, არ იყო ურთიერთშემცვლელი და გამოირჩეოდნენ, როგორც მათი დასაბუთების წინაპირობებით, ასევე - შემდგომი სამართლებრივი შედეგებით.

რაც შეეხება ბავშვთა უფლებებს, მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლოს დასკვნები ორივე საქმეში მოიცავდა ზოგად მოსაზრებებს, რადგანაც შიდა სასამართლოებს არ შეეძლოთ მხედველობაში მიეღოთ მხოლოდ ის ინტერესები, რომლებსაც ეყრდნობოდნენ მშობლები, არამედ მათ პრიორიტეტი უნდა მიენიჭებინათ ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის, აგრეთვე, გაეთვალისწინებინათ ბავშვის შესაძლო სამომავლო ინტერესი და მსგავს სიტუაციაში მყოფი ნებისმიერი ბავშვის ინტერესები, რომელთა მიმართაც ასევე გავრცელდებოდა განსახილველი საქმის მარეგულირებელი საკანონმდებლო დებულებები.

იმის დადგენის კუთხით, თუ რა ინფორმაცია უნდა ყოფილიყო შეტანილი დაბადების რეესტრში, იმ დროს, როცა ბავშვის ასაკიდან გამომდინარე ვერ ხერხდებოდა მისი კეთილდღეობის ინდივიდუალური შეფასება, მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ ჩამოაყალიბა შეხედულება, რომლის მიხედვითაც ბავშვების ინტერესები გარკვეულწილად ემთხვეოდა სამოქალაქო რეგისტრაციის სანდოობისა და თანმიმდევრობის უზრუნველყოფისა და სამართლებრივი უსაფრთხოების ზოგად ინტერესს. ევროპულმა სასამართლომ წარსულში ასევე აღიარა, რომ სამოქალაქო რეგისტრაციის სანდოობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა და უფრო ფართოდ, სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნა, იყო საჯარო ინტერესის საკითხები. ამ მხრივ, სამოქალაქო რეესტრში ჩანაწერებს განსაკუთრებული მტკიცებულებითი ღირებულება ჰქონდა გერმანიის სამართლებრივი სისტემისათვის.

ბავშვის უფლება იცოდეს თავისი წარმომავლობა, როგორც ეს ხაზგასმით აღნიშნა მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამარლომ, ასევე დაცულია კონვენციით და მოიცავს, კერძოდ, უფლებას - დაადგინოს კონკრეტული დეტალები მშობლების შესახებ. O.H.-სა და G.H.-ის შემთხვევაში, ბავშვის იმ უფლებასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს მის აღზრდას ორივე მშობლის მიერ, მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ უფლებას საფუძვლად უდევს, inter alia, ბავშვის ინტერესი, დაადგინოს და დაარეგისტრიროს, საჭიროების შემთხვევაში, ბიოლოგიური მამის მშობლობა. თუ მოცემულ შემთხვევაში პირველი განმცხადებელი დაბადების რეესტრში უნდა ჩაწერილიყო, როგორც მამა, მეორე განმცხადებლის ბიოლოგიური მამა რეესტრში მამად შეიძლება ჩაწერილიყო მხოლოდ იმ პირობით, თუ მეორე განმცხადებელი პირველ რიგში ეჭვქვეშ დააყენებდა პირველი განმცხადებლის მამობას. ეს კი წარმოადგენდა იმ ვარიანტს, რომელიც მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლოს აზრით მიუღებელი იყო ბავშვისთვის.

მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ბავშვის სამართლებრივი ბმა მშობელთან, ამ უკანასკნელის რეპროდუქციული ფუნქციების შესაბამისად, საშუალებას აძლევდა ბავშვს სტაბილური და უცვლელი კავშირი ჰქონოდა დედასა და მამასთან, რომელთა იდენტობაც არ განიცდის ცვლილებას, ისეთ ჰიპოთეტურ შემთხვევაშიც კი, როდესაც ტრანსგენდერი მშობლები ითხოვენ გენდერის ცვლილებების (რეკლასიფიკაციის) გაუქმებას.

მთავრობის მტკიცებით, ეს სამართლებრივი ბმა, პრინციპის დონეზე, ასევე მიზნად ისახავდა სუროგაციის შესახებ შეთანხმებების თავიდან აცილებას, რომელიც აკრძალული იყო გერმანიაში - აკრძალვა, რომელიც ევროპულმა სასამართლომ ლეგიტიმური საჯარო ინტერესით გამართლებულად მიიჩნია.

რაც შეეხება ტრანსგენდერი მშობლების ადრინდელი სახელების მითითებას, დაბადების რეესტრში, მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლოს თანახმად, ეს შესაბამისობაში იყო ზემოაღნიშნულ მიზანთან და ასევე ემსახურებოდა ბავშვებისთვის მშობლის ტრანსგენდერული იდენტობის არანებაყოფლობით გამჟღავნების პრევენციას.

განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ, ერთი მხრივ, ბავშვის უფლება - იცოდეს საკუთარი წარმომავლობის შესახებ, მეორე მხრივ კი - ტრანსგენდერი მშობლის მშობიარობის ან მის მიერ განაყოფიერების ბიოლოგიური რეალობის მეთვალყურეობის მიმართ საჯარო ხელისუფლების ინტერესები, შეიძლება სხვაგვარად დაკმაყოფილდეს. ევროპულმა სასამართლომ გაიმეორა, რომ მე-8 მუხლთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გათვლილი საშუალებების არჩევა კერძო პირთა ურთიერთობის სფეროში, პრინციპში იყო საკითხი, რომელიც ექცეოდა ხელშემკვრელი სახელმწიფოების შეფასების ზღვარში.

მიუხედავად იმისა, რომ ტრანსგენდერი მშობლების მიერ თითოეული ბავშვის დაბადების მოწმობის წარდგენამ, შესაძლოა, გამოავლინოს მათი ტრანსგენდერობა, მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ მიუთითა, რომ შესაძლებელი იყო დაბადების მოწმობის მიღება მშობლების ყოველგვარი ხსენების გარეშე. მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის პირებს, რომლებმაც ზოგადად იცოდნენ დაინტერესებული პირის ტრანსგენდერული ბუნების შესახებ, ჰქონდათ უფლება, მოეთხოვათ დაბადების მოწმობის სრული ასლი და ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ პირს უნდა გამოეჩინა ლეგიტიმური ინტერესი მის მისაღებად. გარდა ამისა, სხვა დოკუმენტები, გარდა დაბადების სრული მოწმობისა, რომლებიც არ შეიცავს მითითებას გენდერის ცვლილების შესახებ, შეიძლება გამოყენებულ იქნას დამსაქმებელთან წარსადგენად, მაგალითად, ასეთი ინფორმაციის გამჟღავნების რისკის თავიდან ასაცილებლად. ეს სიფრთხილის ზომები შეიძლება ემსახურებოდეს იმ დისკომფორტის შემცირებას, რომელიც ტრანსგენდერმა მშობლებმა შეიძლება განიცადონ.

დაბოლოს, მარტოხელა ტრანსგენდერი მშობლის მითითებამ მეორე განმცხადებლის მამად (O.H. და G.H. საქმეში), დაბადების მოწმობაში დედის ყოველგვარი ხსენების გარეშე, შესაძლოა ასევე გააჩინოს კითხვები ტრანსგენდერი მშობლის სტატუსის შესახებ. ანალოგიურად, „დედას“ და „მამას“ განმცხადებლის მიერ შემოთავაზებული ტერმინებით „მშობელი 1“ და „მშობელი 2-ით“ ჩანაცვლება არ დაიცავს განმცხადებელს გამჟღავნებისგან, რადგან „მშობელი 1“ დარჩება ასოცირებული იმ პირთან, რომელმაც ბავშვი გააჩინა.

შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ: ერთი მხრივ, მშობლისა და შვილის ურთიერთობა ტრანსგენდერ მშობლებსა და მათ შვილებს შორის თავისთავად კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა; და ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ იმ მცირე რაოდენობის შემთხვევებს, რომლებშიც შვილების მიერ დაბადების მოწმობის წარდგენამ შეიძლება გამოიწვიოს მშობლის ტრანსგენდერული იდენტობის გამჟღავნება; მეორე მხრივ, თუ მხედველობაში მივიღებთ მოპასუხე სახელმწიფოსთვის მინიჭებულ შეფასების ფართო ზღვარს, შეიძლება ითქვას, რომ

ეროვნულმა სასამართლოებმა დაამყარეს სამართლიანი ბალანსი პირველი განმცხადებლის უფლებებს (O.H. and G.H. საქმეში), პირველი და მეორე განმცხადებელის უფლებებს (A.H. და სხვები) და მათი შვილების ინტერესებს შორის, აგრეთვე ბალანსი დამყარებულ იქნა იმ მათი შვილების კეთილდღეობასთან და საზოგადოებრივ ინტერესებთან დაკავშირებულ საკითხებშიც.

დასკვნა : **დარღვევა არ დადგინდა (ერთხმად)**

მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან ერთად: იმის გათვალისწინებით, რომ დაბადების რეესტრში დედის როლის მინიჭება იმ პირისთვის, რომელმაც გააჩინა ბავშვი, შედიოდა სახელმწიფოების შეფასების ფარგლებში, პირველი განმცხადებლის მდგომარეობა (A.H. და სხვები) ვერ გაუთანაბრდება ქალს, რომელმაც ბავშვი გააჩინა. გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, რომ პირველ განმცხადებელს მოეპყრონ ისე, როგორც ნებისმიერ პირს, რომელმაც ხელი შეუწყო ბავშვის ჩასახვას მამრობითი გამეტების მიწოდებით - კერძოდ, მშობლისთვის უფლება მინიჭება, ოფიციალურად შეინარჩუნოს ბიოლოგიური კავშირი ამ განმცხადებელთან მამობის აღიარებით - ასევე შედიოდა სახელმწიფოს შეფასების ფარგლებში. იგივე დასკვნები ვრცელდება მეორე და მესამე განმცხადებლების შემთხვევაში.

მეორე შემთხვევაში, პირველი განმცხადებლის მდგომარეობას (O.H. და G.H. საქმეში) ვერ შევადარებთ მამის მდგომარეობას, რომელმაც მამრობითი გამეტებით წვლილი შეიტანა განაყოფიერებაში. იგივე მოსაზრება ეხება ბავშვს, რომლის მდგომარეობას ვერ შევადარებთ ჰომოსექსუალი წყვილების ან მარტოხელა მამრობითი სქესის მშობლების მიერ ნაშვილები ბავშვის მდგომარეობას.

დასკვნა: დაუშვებელი (ცალსახად დაუსაბუთებელი)

(იხ. ასევე, *X, Y and Z v. the United Kingdom*, 21830/93, 22 April 1997, Legal summary; *Hämäläinen v. Finland* [GC], 37359/09, 16 July 2014, Legal summary; *Mandet v. France*, 30955/12, 14 January 2016, Legal summary; *A.P., Garçon and Nicot v. France*, 79885/12 and al., 6 April 2017, Legal summary; *Valdís Fjölnisdóttir and Others v. Iceland*, 71552/17, 18 May 2021, Legal summary; *Y. v. Poland*, 74131/14, 17 February 2022, Legal summary).